საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№149 2020 წლის 23 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და საშუალო შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე

1. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და არ გავრცელდეს:

ა) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა“ (პროგრამული კოდი: 27 01 04) – პროგრამის

ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 265 ერთეულით;

ბ) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ (პროგრამული კოდი: 27 02 02) – პროგრამის ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 484 ერთეულით;

გ) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ (პროგრამული კოდი: 27 03 01) – პროგრამის ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 320 ერთეულით, მათ შორის, 20 ერთეულით – დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა „ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის“ პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ფარგლებში;

დ) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, „C ჰეპატიტის მართვა“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 11 01) – პროგრამის ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 30 ერთეულით;

ე) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებიდან „ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის“ პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 20 პირის საშუალო შრომის ანაზღაურება განსაზღვროს არა უმეტეს 5 500 ლარის ოდენობით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**